

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველები“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 59916573

N 420
22/11/2019

420-07-3-201911221545



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“ სხდომის ოქმი №4

ქ.ლანჩხუთი
წელი

21.11.2019

10.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე.

ფრაქციის წევრები: ზურაბ კუკულავა, ამირან ქანთარია.

ფრაქციის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატი: ელისო ჭიჭინაძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, სპარტაკ კვაჭაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: სპარტაკ კვაჭაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: სპარტაკ კვაჭაძე/

3. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ. მან აღნიშნა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2020-2023 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

დებუტატმა ამირან ქანთარია აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთში კვირკველიას ქუჩა N16-ის მიმდებარე ტერიტორიაზე აუცილებელია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (პარკინგი). მისი განმარტებით, ასევე აუცილებელია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწესრიგდეს საკანალიზაციო მიწები.

ფრაქციის წევრები შეთანხმდნენ, რომ ასევე პრიორიტეტულია მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოწესრიგდეს შიდა გზების, სანიაღვრე არხებისა და სასმელი წყლის პრობლემა.

განკარგულების პროექტზე ფრაქციის წევრების მიერ სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის, ასევე 2020-2023 წლების

პრიორიტეტების დოკუმენტისა და ამ დანართის შემუშავება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგია, სხვა მეთოდურ მითითებებთან ერთად, განსაზღვრას საქართველოს სახელმწიფო, ავტონომური და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების შედგენის ფორმატს, ბიუჯეტის სტრუქტურას, დანართებს და ინფორმაციის ჩამონათვალს თუ რას უნდა მოიცავდეს წლიური ბიუჯეტის პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია. პროგრამულ დანართში, ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტისაგან განსხვავებით, მუცემულია ლანჩხუთის 2020 წლის ბიუჯეტით განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები. მასში წარმოდგენილია ის პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელთა დაფინანსებასაც ითვალისწინებს 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი. პროგრამების (ქვეპროგრამების) აღწერა და ასიგნებების საპროგნოზო მოცულობები წარმოდგენილია მომავალ 4 წელზე, ხოლო მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები ხშირ შემთხვევებში მოიცავს მხოლოდ 2020 წელს.

ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოში აუცილებელია უმოკლეს ვადაში მოწესრიგდეს თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურება, რასაც ერთხმად დაეთანხმნენ ფრაქციის წევრებიც.

ფრაქციამ მიზანშეწონილად მიიჩნია, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით დაბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიაში, რათა ამ შენიშვნების გათვალისწინებით მოხდეს ახალი პროექტის წარმოდგენა.

განკარგულების პროექტზე ფრაქციის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა:

დეპუტატმა ამირან ქანთარია აღნიშნა, რომ აუცილებელია მოწესრიგდეს ქალაქის ცენტრში არსებული საათი.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

პატივისცემით,

სპარტაკ კვაჭაძე



ფრაქციის თავმჯდომარე